

ინტერკულტურული კომუნიკაციის თანამედროვე თეორიული მოდელი
და მისი ტიპოლოგია იტალიურ და ქართულ მაგალითებზე
დაყრდნობით

ბელა კამლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: რომანული ფილოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცერცვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბელა კამლაძე

23.01.2019

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციის პრობლემა სულ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა კულტურათაშორისი კომუნიკაცია, სადაც დღეს ორ განსხვავებულ კულტურათა ურთიერთობისას წარმატებული კომუნიკაციის დამყარება საკმაოდ რთული პროცესია. თანამედროვე კომუნიკაციის მდგომარეობით ხდება ეროვნულ კულტურული ღირებულებების ახალ პარადიგმაში გადააზრება.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ინტერკულტურული კომუნიკაციის ძირითადი პრობლემების მიმოხილვას, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინონ ქართული და იტალიური კულტურის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობისას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იტალიას და საქართველოს განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებთ ერთმანეთთან, თუმცა მიუხედავად ამისა, თავს ვერ ავარიდებთ ისეთ კულტურულ ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლია გაუგებრობებამდე მიგვიყვანოს და უხერხული სიტუაციები შეგვიქმნას კომუნიკაციური აქტის დროს. ხშირად ეს გრამატიკული, სინტაქსური და ლექსიკური ფაქტორებია, თუმცა გარდა ვერბალური ასპექტებისა, არანაკლები დატვირთვის მქონე შეიძლება აღმოჩნდეს როგორც არავერბალური კომუნიკაციის ელემენტები, ისე კულტურასთან (კულტურულ ღირებულებებთან) დაკავშირებული კომუნიკაციის ფაქტორები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინტერკულტურული კომუნიკაციის მიზანია კომუნიკაციის კორექტულად წარმართვა და შეტყობინების სწორი ინტერპრეტაცია, მესიჯის მიზნამდე მიღწევა განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების მხრიდან. შესაბამისად, საკომუნიკაციური აქტის ეფექტურობაზე ბარიერები გავლენას ახდენენ და ინფორმაციის დაკარგვისა და წარუმატებელი კომუნიკაციის საფრთხეს ქმნიან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართული და იტალიური ინტერკულტურული კომუნიკაციის ასპექტების განხილვა პაოლო ბალბონისა და ფაბიო კაონის თანამედროვე მოდელის მიხედვით. კვლევის შეპირისპირებითი და

შედარებითი მეთოდების საშუალებით განვიხილავთ იმ ვერბალურ, ძირითადად კი არავერბალურ და კულტურულ ასპექტებს რამაც, შეიძლება გამოიწვიოს შეტყობინების შინაარსის დაკარგვა, მესიჯის მიზნამდე ვერ მიღწევა. ვიმედოვნებთ, რომ ამ ორი კულტურის წარმომადგენლებს გამოკვეთილი ასპექტების ცოდნა და გათვალისწინება დაეხმარებათ საკომუნიკაციო აქტის გამარტივებაში. ნაშრომში საუბარია განსხვავებული კულტურის მატარებელ ადამიანებს შორის არსებულ განსხვავებულ კულტურულ საწყისებზე, განსხვავებულ ე.წ. „software of mainds“ „მენტალური software“-ზე, სადაც თითოეული კულტურა აღქმულია როგორც სხვადასხვა „მენტალური software“.

ბალბონის აზრით, ორი განსხვავებული კულტურის შეხვედრა არ ნიშნავს ორი ბარიერის ერთმანეთთან დაპირისპირებას, ეს არის ორი პიროვნების შეხვედრა, რომელთაც აქვთ განსხვავებული „მენტალური software“ და ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი უკეთესია. ვისაუბრებთ ეთნოცენტრიზმის გავლენაზე, ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციაზე, რომელშიც მოიაზრება ისეთი უნარების ფლობა, როგორებიცაა: დაკვირვება, აქტიური მოსმენა, ურთიერთობის მართვა, კრიტიკისგან თავის შეკავება და ასე შემდეგ, რაც ერთიანობაში გვეხმარება როგორც ინტერკულტურული კომუნიკაციის ბარიერების შემცირებაში, ისე საკომუნიკაციო აქტის დროს განსხვავებების დანახვასა და ობიექტურობაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კულტურა, კომუნიკაცია, ეთნოცენტრიზმი, ინტერკულტურული, საკომუნიკაციო აქტი, ეფექტური კომუნიკაცია, მოდელი

Abstract

Globalization becomes more and more relevant and important issue for the modern world. There is the special attention on the intercultural communication, nowadays, successful communication between two different cultures is a difficult process. National cultural values acknowledge in the new paradigms, with the help of modern strategies.

Following paper is a review of general problems of intercultural communication, which may appear during a communication between Georgian and Italian cultural representatives. It is well-known, that there is a special closeness between Italy and Georgia; however, we cannot avoid certain cultural factors, which might lead to confusion, or might cause an awkward situation during communication. These factors are often grammatical, syntactic and lexical, but other than verbal aspects, non-verbal communication elements might be just as important as culture-related factors. It is also well-known, that the aim of intercultural communication is to operate it correctly and to interpret the message in the right way, so it reaches its destination, from the different cultural representatives. Accordingly, barriers influence the effectiveness of the communicational act and cause the danger that the information will lose, or the relation will be unsuccessful.

Following paper aims to consider Georgian and Italian cultures, according to the modern model of intercultural communication, by Paolo Balboni and Fabio Caon. We consider the verbal, but mainly non-verbal and cultural aspects, which may cause losing the content of the message or to not reaching it to its goal, by oppositional and comparative methods of research. We hope that the most significant aspects will help the representatives of these two cultures to make the communication easier. The research presents, different cultural origins among people from different cultures, so-called “software of minds”, which beholds each culture as various “mental software”.

According to Balboni, meeting of the two different cultures does not mean opposition of two barriers, it is the meeting of two individuals, who have different “mental software” and it does not mean, that one is better than the other. We will discuss the influence of ethnocentrism; competence of intercultural communication, which requires following abilities: observation, active listening, managing the relation, avoid to critic and so on, which , in general, helps us to reduce intercultural communicational barriers, and to see the differences and remain objective during the act of communication.

Key words: Culture, communication, ethnocentrism, intercultural, communication act, effective communication, model

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის რომანისტიკის მიმართულების ასოცირებულ პროფესორს ნინო ცერცვაძეს გაწეული დახმარებისათვის, რომლის ჩართულობით, თანადგომით, პროფესიული მითითებებისა და სასარგებლო რჩევების საშუალებით შევძელი ნაშრომის მომზადება და დასრულება.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ოჯახს მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.